ბრძანება:**ბ27.27212182**

თარიღი:**06/08/2021**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №42

06 აგვისტო 2021 წ.

ქ. თელავი

საარჩევნო პერიოდში საქართველოს ორგანული კანონით „ საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ და „ჟ“ ქვეპუნქტების თანახმად,

<u>ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:</u>

1. დამტკიცდეს საარჩევნო პერიოდში საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია თანდართული ფორმით.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების საკრებულოს თანამდებობის პირებისთვის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეებისათვის გაცნობა.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი

საარჩევნო პერიოდში საქართველოს ორგანული კანონით „ საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია

მუხლი 1. ინსტრუქციის მიზანი

ამ ინსტრუქციის მიზანია საარჩევნო პერიოდში საქართველოს ორგანული კანონით „ საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებული ვალდებულებების და ამ ვალდებულებების დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებისათვის გაცნობა და მათთვის სახელმძღვანელო მითითებების მიცემა.

მუხლი 2. წინასაარჩევნო აგიტაცია

1. აკრძალულია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეების მიერ მონაწილეობის მიღება წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) სამუშაო საათების განმავლობაში ან, როდესაც ისინი ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობებს.

   შენიშვნა: წინასაარჩევნო აგიტაცია არის ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის /საარჩევნო სუბიექტების კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობის, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

2. აკრძალულია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებული წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პირის მიერ, წინასაარჩევნო პერიოდში რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტების კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება.

3. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირის, რომელსაც თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტების კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგო წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენება, რაც გულისხმობს:

   ა) სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენის ან/და არჩევას;
   ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურეობრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვების და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას.
   გ) წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურეობრივი ფუნქციების შესრულებას.

4. არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია:

ა) საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტების კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულების), შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა);

ბ) ფიზიკური და იურდიული პირების მიერ პირადი ფულადი სახსრებით ან/და საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება ან მომსახურეობის გაწევა (გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოპოვებული სამუშაოს შესრულებისა ან მომსახურების გაწევის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას.

მუხლი 3. საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მონაწილეობა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში

1. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს თავმჯდომარე/მისი მოადგილე

2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს აპარატში დასაქმებული საჯარო მოსამსახურე, მასზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ მოთხოვნები. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად საჯარო მოსამსახურის არჩევა/დანიშვნის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში შეიძლება დროებით შეუჩერდეს უფლებამოსილების მუდმივ სამუშაო ადგილს, რისთვისაც მას კანონი დადგენილი წესით ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ან კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება საკუთარი მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დარღვევისათვის.

1. საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით:

ა) საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მოთხოვნილი დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით;

ბ) საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესით წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო და სხვა მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა, ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენების ხელის შეშლა - გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით;

გ) იგივე ქმედება, ჩადენილი თანამდებობის პირთა მიერ გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით;

დ) საარჩევნო კამპანიის ჩატარება იმ დაწესებულებათა შენობებში, რომლებიც აკრძალულია საარჩევნო კოდექსით და ასეთი ნებართვების გაცემა უფლებამოსილი პირის მიერ გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

ე) წინასაარჩევნო აგიტაციის და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და თანამდებობრივი ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებისას საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობა.